

იური ლოტიანი

კულტურათა და ლიტერატურათა ურთიერთობის თეორიისათვის (სემიოტიკური ასპექტი)

ლიტერატურის შესწავლას ეროვნული მასალის საზღვრების გადალახვით მითოლოგიურმა სკოლამ და ინდოევროპულმა ენათმეცნიერებამ შეუწყვეს ხელი. ასეთ კვლევა-ძიებას ბიძგი მისცა სხვადასხვა დონეზე საოცარ თანხვედრათა აღმოჩენამ ისეთ ტექსტებში, რომელთა შორის რაიმე საერთოს არსებობას მანამდე არავინ ვარაუდობდა. შემდგომ ერთმანეთის მონაცვლე სხვადასხვა სკოლებმა – „სესხების სკოლამ“, კულტურულ-ისტორიულმა, ნიკო მარისა და სტადიალურმა სკოლებმა – თავიანთი ძალისხმევა ერთსა და იმავე საკითხს დაუთმეს: იმის ახსნას, თუ რა განაპირობებს სახელების, მოტივების, სიუჟეტების, მხატვრული სახეების თანხვედრას ერთმანეთისაგან კულტურულად და ისტორიულად დაშორებულ ლიტერატურათა, მითოლოგიათა და ზეპირსიტყვიერ ტრადიციებში. ეს პრობლემა დღემდე რჩება თანამედროვე გამოკვლევათა ყურადღების ცენტრში. საუკუნუნახევარ ძიებათა ერთგვარი შედეგია ის კონცეფცია, რომელმაც ყველაზე მკვეთრი გამოხატულება ვ. მ. ჟირმუნსკისა და ნ. ი. კონრადის ნაშრომებში ჰპოვა.

კვლევა-ძიებათა ამ გზაზე ლიტერატურის შედარებითი შესწავლის საკითხმა ცხადი მეთოდოლოგიური ფორმები შეიძინა: დადგინდა სხვაობა როგორც ტექსტების, ასევე მათი ცალკეული ელემენტების გენეტიკურ და ტიპოლოგიურ თანხვედრათა შორის. ასეთ გამიჯვნას საფუძვლად დაედო ჯერ კიდევ ედუარდ ტეილორის მიერ წამოყენებული იდეა სტადიალური ერთიანობის შესახებ, რომელიც „მსოფლიო ლიტერატურის“ გოეთესეული მოსაზრების ხორცშესხმის საშუალებად მიაჩნიათ.

სტადიალური ერთიანობა იმ პრინციპულ პირობად ითვლება, რომელიც როგორც ტიპოლოგიურ შეპირისპირებათა ჩატარების, ასევე ისტორიულ-კულტურულ „გავლენათა“ და „სესხებათა“ შესწავლის საშუალებას იძლევა. როდესაც ნ. ი. კონრადი იაპონურ სარაინდო კულტურაზე ან ჩინურ რენესანსზე საუბრობს, იგი იმას გულისხმობს, რომ კულტურული განვითარების მსოფლიო-ისტორიული სტადიები ერთმანეთისაგან თვით ყველაზე დაშორებულ არეალებში ტიპოლოგიურად მსგავს მოვლენებს წარმოშობენ. „მაგრამ, – აღნიშნავს ვ. მ. ჟირმუნსკი, – სხვადასხვა ხალხთა ლიტერატურაში ისტორიულად მსგავს მოვლენათა კონკრეტული შედარებითი ანალიზის დროს ლიტერატურული პროცესის სტადიალურ-ტიპოლოგიურ ანალოგიათა საკითხი გარდაუვალად გადაეჯვარედინება საერთაშორისო ლიტერატურული ურთიერთობის არა ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხს, რომლის უგულებელყოფა სრულიად წარმოუდგენელია. ადამიანთა საზოგადოების ისტორია ფაქტობრივად არ იცნობს აბსოლუტურად იზოლირებული კულტურულ-

ლი (და შესაბამისად, ლიტერატურული) განვითარების მაგალითებს, ცალკეულ არეალებს შორის უშუალო ან უფრო შორეული ურთიერთზემოქმედებისა და ურთიერთგავლენის გარეშე“*

ამგვარ ურთიერთზემოქმედებათა წინამძღვრს, როგორც ჟირმუნსკი აცხადებს, წარმოადგენს „კლასობრივი საზოგადოების განვითარება“ „სოციალურ-ისტორიული პროცესის უთანაბრობათა“ პირობებში. ერთი მხრივ, კ. მარქსის იმ ცნობილ დებულებაზე დაყრდნობით, რომ „წარმოების მხრივ უფრო განვითარებული ქვეყანა ნაკლებად განვითარებულ ქვეყანას მხოლოდ მისი მომავლის სურათს უჩვენებს“** და მეორე მხრივ, „შემხვედრი დინების“ შესახებ ა. ნ. ვესელოვსკის დებულებაზე დაყრდნობით ვ. მ. ჟირმუნსკი აყალიბებს დებულებას იმის შესახებ, რომ გარედან მიღებული ნებისმიერი გავლენა ლიტერატურის იმანენტური განვითარების მხოლოდ დამაჩქარებელ ფაქტორს წარმოადგენს.

ზემონარმოდგენილი დებულებები თავის დროზე კულტურათა შესწავლის გზაზე წინ გადადგმული არა მხოლოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, არამედ ისინი დღესაც ინარჩუნებენ თავიანთ ღირებულებას. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე შეგვიძლია ამით დავკმაყოფილდეთ.

უპირველესად ის გარემოება უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა ყურადღების მიღმა რჩება ფაქტორთა მთელი წყება, რომლებშიც ურთიერთმოქმედების იმპულსად არა მსგავსება ან სიახლოვე (სტადიალური, სიუჟეტურ-მოტივური, ჟანრული და ა. შ.), არამედ სხვაობა გვევლინება. შესაძლებელია მხოლოდ ორი მიზეზის დასახელება, რომლებიც განაპირობებენ ამა თუ იმ საგნისადმი ინტერესს ანდა მის შექმნისა თუ დაუფლების სურვილს: 1) მჭირდება, ვინაიდან გასაგებია, ნაცნობია, შეესაბამება ჩემთვის ცნობილ წარმოდგენებსა და ღირებულებებს; 2) მჭირდება, ვინაიდან გაუგებარია, უცნობია, არ შეესაბამება ჩემთვის ცნობილ წარმოდგენებსა და ღირებულებებს. პირველს შეიძლება ეწოდოს „საკუთარის ძიება“, ხოლო მეორეს – „უცხოს ძიება“.

კულტურათა შედარებითი შესწავლა დღემდე ატარებს თავისი ინდო-ევროპული და მითოლოგიური წინარესამშობლოს ზეგავლენის კვალს, რაც ერთგვაროვნების ელემენტთა ძიების ტექნიკაში პოულობს გამოხატულებას. რასაკვირველია, გაცილებით უფრო ეფექტურია მსგავსება იპოვო ირანულ და კელტურ თქმულებათა მოტივებს შორის, ვიდრე ყურადღება მიაქციო მათ შორის სხვაობის ტრივიალურ ფაქტს. მაგრამ როდესაც შემდეგ ნაბიჯს ვდგამთ არა უბრალოდ ცალკეულ სტადიალურ-პარალელურ, არა ცალკეულ კულტურათა იმანენტური ავტონომიური ისტორიების აგებისაკენ, არამედ კაცობრიობის კულტურის ისტორიის შექმნისაკენ, მასალის ამგვარი შერჩევა ძალაუვნებურად იმ სრულიად უსაფუძვლო დასკვნისაკენ გვიბიძგებს, რომ სწორედ თანხვედრები განაპირობებენ ამ ნაირგვარი მასალის ერთიანობას.

* Жирмунский В. М. Избранные труды: Сравнительное литературоведение: Запад и Восток. Наука, Л., 1979, с. 20.

** Маркс К., Энгельс Ф. Собрание сочинений. Т. 23, III, М., с. 9.

რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ ნაირგვარი ელემენტების ურთიერთზე-გავლენის საკითხით არავინ დაინტერესებულა. ჯერ კიდევ ვ. შკლოვსკიმ და ი. ნ. ტინიანოვმა მიაქციეს ყურადღება ტექსტის ფუნქციის ცვლას უცხო კულტურის მიერ მათი ათვისების პროცესში და ამასთანავე იმას, რომ ტექსტის შემოქმედების პროცესი მის გარდაქმნასთანაა დაკავშირებული*. აქედან ის დასკვნა, რომ თვით ერთსა და იმავე კულტურაში იმისათვის რათა ლიტერატურული ათვისების პროცესში ტექსტი ქმედითი მონაწილე გახდეს, იგი „ნაცნობიდან“ და „შინაურიდან“ თუნდაც პირობითად, „უცნობ“ და „უცხო“ ტექსტად უნდა იქცეს.

მას შემდეგ, რაც ი. დიურიშინმა ცხადჰყო, რომ კონტაქტის მექანიზმის თვალსაზრისით ეროვნული ლიტერატურის ფარგლებში სხვადასხვა ტექსტებსა და სხვადასხვა ეროვნულ ლიტერატურათა ტექსტებს შორის არსებითი სხვაობა არ არსებობს**, ამ დებულების მნიშვნელობა კომპარატივისტიკისათვის სავესებით ცხადი გახდა. შედარებითი ლიტერატურის დარგში გამოკვლევათა უმრავლესობა ამა თუ იმ ტექსტებისა თუ ლიტერატურული მოვლენების სხვა ტრადიციის მიერ ათვისების პროცესში ტრანსფორმაციებისა და სტრუქტურული ძვრების შესწავლას ეძღვნება. ასე რომ, თავისთავად საკითხი ახალი არაა. მაგრამ თეორიული თვალსაზრით აქ კიდევ ბევრი რამეა გასარკვევი. დ. დიურიშინის მიერ წამოყენებულ დებულებას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ტექსტის თეორიასთან, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

კონკრეტული შედარებითი გამოკვლევების უმრავლესობა სხვა ტრადიციის მიერ ამა თუ იმ ტექსტების ტრანსფორმირებისა და სტრუქტურული ძვრების შესწავლას ეფუძნება. ასე რომ ამ მხრივ საკითხი არაა ახალი. მაგრამ თეორიული თვალსაზრისით აქ კიდევ ბევრი რამეა გასარკვევი.

ტექსტის თეორიის ზოგად ნაშრომებთან მჭიდროდ დაკავშირებულ დ. დიურიშინისეულ დებულებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ოდნავ ქვემოთ შევეცდებით, ცხადვყოთ, რომ შესაძლებელია ამ დებულების საგრძნობლად გაფართოება და თანაც ისე, რომ იგი ინდივიდუალური ცნობიერების ყოველგვარ გამოვლინებას მოიცავდეს გლობალური მასშტაბის ტექსტობრივი ურთიერთობების ჩათვლით.

მაგრამ ვიდრე ამ პრობლემას განვიხილავდეთ, საჭიროა იმის დაზუსტება, თუ როგორი ასპექტით ვაპირებთ მის განხილვას. დღემდე მკვლევართა ყურადღება გამახვილებული იყო იმ პირობების საკითხზე, რომლებშიც შესაძლებელი ხდება ერთი ტექსტის მეორეზე ზეგავლენა. ჩვენ კი სხვა საკითხი გვინტერესებს: რატომ და როგორ ხდება კულტურულ ვითარებაში უცხო ტექსტი აუცილებელი. ეს საკითხი სხვაგვარადაც შეიძლება დაისვას: როდის და როგორ პირობებშია აუცილებელი „უცხო“ ტექსტი „საკუთარის“ შემოქმედებითი განვითარებისათვის ანდა (რაც იგივეა) როდის და როგორ ვითარებაშია აუცილებელი კონტაქტი სხვის „მე“-სთან „ჩემი“ ცნობიერების შემოქმედებითი განვითარებისათვის [...].

* Тынянов Ю. Н. Поэтика. История литературы. Кино. Наука, М., 1977, с. 257.

** Дюришин Д. Теория сравнительного изучения литературы. Прогресс, М., 1979.

ნებისმიერი ცნობიერება გულისხმობს ლოგიკურ ოპერაციებს, ანუ გარკვეულ მოცემულ გამონათქვამთა ტრანსფორმირების უნარს გარკვეული ალგორითმების შესაბამისად, და ამასთანავე – შემოქმედებითი აზროვნების ელემენტებს. შემოქმედებითი აზროვნება დაკავშირებულია გარკვეულ უნართან მოახდინოს საწყისი გამონათქვამების ისეთი ტრანსფორმირება, რომ მათი ხასიათის წინასწარ ცალსახად განჭვრეტა შეუძლებელია. აქ მთავარ როლს ანალოგიური მექანიზმები ასრულებენ. მაგრამ აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს ანალოგიები იმგვარი უნდა იყოს, რომ შეუძლებელი იყოს მათი ერთნიშნა ალგორითმიზაცია.

ამასთანავე ვერ ვიტყვით, რომ აქ ანალოგიურ მექანიზმს ალბათობის ხასიათი ექნება. გარემოებათა მთელი წყება გამორიცხავს ამგვარ ვარაუდს.

აღვნიშნავთ თუნდაც ამ ინტელექტუალურ ქმედებათა პრინციპულ ერთჯერადობას და, შესაბამისად, მათ შეუსაბამობას სტატისტიკურ მოდელირებასთან, რაც მსჯელობას რაიმე ალბათობის მოდელირებაზე უსაგნოს ხდის. მსჯელობა უთუოდ უნდა შეეხებოდეს „პირობით ექვივალენტურობას“, რომელიც მოცემული ანალოგის აპარატში შედის.

ეტყობა, ნებისმიერი ცნობიერება შეიცავს როგორც ერთი, ასევე მეორე აზროვნების ელემენტებს. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მეცნიერული აზროვნება ლოგიკური სტრუქტურების უპირატესობით ხასიათდება, მხატვრული – შემოქმედებითი, ხოლო ყოფითი ცნობიერება სადღაც ამ ღერძის შუაში იმყოფება.

შემოქმედებითი ცნობიერების ფსიქოლოგიური მექანიზმების კვლევა ჩვენ-ნი კომპენტენციის მიღმა იმყოფება. ჩვენ მიერ დასახული მიზნებისათვის სავსებით საკმარისი იქნება, თუ ჩვენთვის საინტერესო სიტუაციის ერთგვარი ზოგადი მოდელირებით შემოვიფარგლებით. <...>

აზრის წარმოქმნა არ ხდება სტატისტიკურ სისტემაში. იმისათვის, რომ ასეთი რამ შესაძლებელი გახდეს გადამცემისა (ადრესატისა) – A_1 და მიმღების (ადრესატის) – A_2 კომუნიკაციურ სისტემაში რაიმე ინფორმაცია უნდა შემოვიდეს. ასევე, იმისათვის რომ ბისტრუქტურულმა [სტრუქტურას მოკლებულმა] ტექსტმა სხვადასხვა ახალი შინაარსის გენერირება შეძლოს, კომუნიკაციურ სისტემაში უნდა მოხდეს მის ქვესტრუქტურებს შორის შინაგანი გადართვის, სემიოტიკური გაცვლა-გამოცვლის პროცესი. ამგვარად, შემოქმედებითი ცნობიერების აქტი ყოველთვის კომუნიკაციის, ანუ ურთიერთგაცვლის გამოვლინებაა. ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემოქმედებითი ცნობიერება ისეთი ინფორმაციული გაცვლა-გამოცვლის გამოხატულებაა, რომლის დროსაც თავს იჩენს თავდაპირველი ინფორმაციის ახალ წარმონაქმნად ტრანსფორმირება.

შემოქმედებითი ცნობიერება შეუძლებელია მთლიანდ იზოლირებული, ცალსტრუქტურულ (შინაგანი ურთიერთგაცვლის მარაგს მოკლებულ) და სტატისტიკურ სისტემებში.

ამ დებულებიდან გამომდინარეობს დასკვნათა წყება, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვს კულტურათა და კულტურული კავშირების კვლევის შედარებითი შესწავლისათვის.

კულტურის იმანენტური განვითარება ვერ განხორციელდება ტექსტების გარედან მუდმივი შემოდინების გარეშე. თანაც ამ „გარედან“-ს თავის მხრივ რთული აღნაგობა აქვს: ეს არის მოცემულ კულტურის ამა თუ იმ ჟანრის ან გარკვეული ტრადიციის „გარედან“, და ესაა „გარედან“ იმ წრისა თუ არეალის, რომელიც გარკვეული მეტაენობრივი ხაზითაა შემოფარგლული და რომელიც ყველა ცნობას მოცემული კულტურის შიგნით კულტურულად არსებულად („მაღალ“, „ღირებულ“, „მკვიდრ“ და ა. შ.) და კულტურულად არარსებულად („დაბალხარისხოვნად“, „არაღირებულად“, „არამკვიდრად“ და ა. შ.) აქცევს. და ბოლის – ესაა უცხო, სხვა ეროვნული, კულტურული, გეოგრაფიული ტრადიციიდან შემოსული ტექსტები. კულტურის განვითარება, ისევე როგორც შემოქმედებითი ცნობიერების აქტი, ურთიერთგაცვლის აქტია, რომელიც ამ აქტის განხორციელებისას ყოველთვის გულისხმობს „სხვას“, ანუ პარტნიორს.

ეს ორი შემხვედრი პროცესის არსებობას განაპირობებს: ერთი მხრივ, პარტნიორის მოთხოვნილების შედეგად, კულტურა თავისი ძალისხმევით გამუდმებით ქმნის სხვაგვარი ცნობიერების მატარებელს – „სხვას“, რომელიც განსხვავებულად ახდენს სამყაროსა და ტექსტების კოდირებას. თავს იჩენს კულტურის ნიაღში ძირითადად საკუთარი გაბატონებული კოდების საპირისპიროდ წარმოქმნილი ამ იერსახის ექსტერიორიზება და მისი პროეცირება მის მიღმა მდებარე კულტურულ სამყაროებზე. დამახსიათებელ მაგილთებს განეკუთვნება ევროპელების მიერ „ეგზოტიკურ“ კულტურათა (რომელსაც ისტორიის გარკვეულ ეტაპზე რუსული კულტურაც განეკუთვნებოდა) აღწერა ანდა ტაციტუსის მიერ გერმანელთა ყოფის აღწერა.

მეორე მხრივ, გარე კულტურული სტრუქტურების ჩართვა მოცემულ კულტურულ სამყაროში მასთან საერთო ენის გამონახვას გულისხმობს, რაც თავის მხრივ მათ ინტერიორიზებას მოითხოვს. გარე კულტურასთან ურთიერთობისათვის კულტურამ უნდა მოახდინოს მისი იერსახის ინტერიორიზება თავის სამყაროში.

ეს პროცესი გარდაუვალად დიალექტიკურად წინააღმდეგობრივია: გარე კულტურის შინაგან იერსახეს მოეპოვება იმ კულტურულ სამყაროსთან ურთიერთობის ენა, რომელშიც ხდება მისი ჩართვა. მაგრამ სწორედ ეს კომუნიკაციური სიადვილე დაკავშირებულია ამ გარე სტიმულატორთა ცალკეულ და ხშირად განსაკუთრებით ფასეულ ნიშან-თვისებათა არაერთ დაკარგვასთან. მოვიტანთ ამის ერთ მაგალითს: პუშკინის პოეტური მოვლენა 1820-იანი წლების ლიტერატურისა და მკითხველთა მიერ აღქმულ იქნა როგორც უჩვეულო და ნოვატორული რამ. ამ მოვლენის ახსნა მკითხველთა ცნობიერებაში „პუშკინის იერსახის“ შექმნას მოითხოვდა. ეს იერსახე მოგვიანებით ლიტერატურის დამოუკიდებელ ფაქტად იქცა. პუშკინის რეალურ და დინამიურ ლიტერატურულ მოვლენასა და მკითხველთა ცნობიერებას შორის მდებარეობის გამო, იგი ორგვარ როლს ასრულებდა: ახდენდა პუშკინის სამყაროს გააზრებასა და „განმარტებას“, ანუ ხელს უწყობდა მის გაგებას, და თან აუბრალოებდა, უგულვებლყოფდა ყოველივე ახალსა და დინამიურს, რაც მასში არ თავსდებოდა, ანუ ხელს უშლიდა გაგებას.

პუშკინის ეს „ორეული“ არ იყო სტატიკური: მისი წინააღმდეგობის მიუხედავად, პოეტის რეალური შემოქმედება და პოეტის ცხოვრებისეული ქცევა გამუდ-

მებით ახდენდა მის ტრანსფორმირებას. მაგრამ თავის მხრივ იგიც ახდენდა ზეგავლენას პუშკინის რეალურ შემოქმედებასა და ქცევაზე, აიძულებდა „პუშკინის შესაბამისად“ მოქცეულიყო. პოეტის გარდაცვალების შემდეგ ამ იერსახემ ზრდისა და თვალსაჩინო კულტურული ქმედითობის იშვიათი უნარი გამოამჟღავნა.

ინტერიორიზებული იერსახის ორგვარი როლი, რომელსაც მოეთხოვება, რათა კულტურის შინაგან ენაზე ითარგმნებოდეს (ანუ „უცხო“ რომ არ იყოს) და თან „უცხო“ იყოს (ანუ არ ითარგმნებოდეს კულტურის შიდა ენაზე), უაღრესად რთულ, ხოლო ზოგჯერ ტრაგიზმით აღბეჭდილ კოლიზიებს ქმნის.

ასე, რუსეთ-დასავლეთის კონტროვერზამ რუსი მედასავლეთის ტიპი წარმოშვა. შიდა კულტურულ კოლიზიაში ეს ფიგურა დასავლეთის „წარმომადგენლის“ როლს ასრულებდა, რომელზეც დასავლეთის თავიანთი გაგების შესაბამისად, ხოლო დასავლეთზე მედასავლეთეების მიხედვით მსჯელობდნენ.

მაგრამ რუსი მედასავლეთე ნაკლებად ჰგავდა იმ დროის დასავლეთის რეალურ ადამიანს და როგორც წესი, იგი ნაკლებად იცნობდა დასავლეთს: არა რეალური დასავლეთის, არამედ რუსულ სინამდვილეზე დაკვირვების კონტრასტით ახდენდა მის კონსტრუირებას. ეს იდეალური და არა რეალური დასავლეთი იყო.

არაა შემთხვევითი, რომ სლავიანოფილები და სხვა ტრადიციონალისტები და ეროვნული თვითმყოფადობის მომხრეები ხშირად იყვნენ გერმანიის უნივერსიტეტდამთავრებულები ან მეზღვაურები, შიშკოვის, შახმატოვ-შირინსკის მსგავსად, ან დიპლომატები, მაგალითად ტიუტჩევი და კონსტანტინ ლეონტიევი, რომლებმაც მთელი ცხოვრება უცხოეთში გაატარეს, ხოლო დასავლური განათლების ზოგიერთი მომხრე, მაგალითად – პუშკინი, არასოდეს ყოფილა დასავლეთში, და თუ მოხვდებოდნენ იქ, ბელინსკის მსგავსად, თავს უცხოდ გრძნობდნენ ამ გარემოში.

რუსი მედასავლეთის შეტაკებას რეალურ დასავლეთთან, როგორც წესი, ისეთივე ტრაგიკული იმედგაცრუება ახლდა თან, როგორც მათი მოწინააღმდეგეების შეჯახებას რეალურ რუსულ სინამდვილესთან. და მაინც რუსეთის მიერ მის მიღმა მდებარე დასავლური კონტექსტის კულტურული განცდა წარმოუდგენელია მის სტრუქტურაში ამგვარი მოვლენის გარეშე.

კულტურული კონტაქტის მნიშვნელოვანი ასპექტია პარტნიორის სახელდება, რაც გულისხმობს მის ჩართვას „ჩემს“ კულტურულ სამყაროში, მის კოდირებას „ჩემი“ კოდით და მისი ადგილის განსაზღვრას კულტურის ჩემეულ სამყაროში.

ანალოგიურად შეგვიძლია განვიხილოთ უცხოურ ლიტერატურათა ჟანრების იდენტიფიცირება ჩვეულ ჟანრულ წარმოდგენათა შუქზე, უცხო კულტურული ქცევის შეფასება ჩვეული კოდების სისტემის საფუძველზე ანდა სხვადასხვა ლიტერატურული ფორმების პირობითი გაიგივება (მაგალითად, რუსული და ფრანგული ალექსანდროული საზომის პირობითი თანაფარდობის დადგენა პოეტური ტექსტების თარგმნისას).

მაგრამ საპირისპიროც შესაძლებელია: საკუთარი თავის გადარქმევა იმ სახელის შესაბამისად, რომელიც კომუნიკაციის გარე პარტნიორმა დამარქვა.

ამგვარი მოვლენები დამახასიათებელია პოლემიკისათვის: ხდება ხოლმე მოწინააღმდეგის მიერ პოლემიკურად დარქმეული სახელის დასაკუთრება და „საკუთარ“ ენაში ჩართვა, რის გამოც იგი კარგავს დამაკნინებელ ფლერადობას და დადებით შეფერილობას იძენს.

ნებისმიერი პოლემიკა მოითხოვს მოწინააღმდეგესთან საერთო ენის გამონახვას; ამ შემთხვევაში ასეთ ენად მოწინააღმდეგის ენა გვევლინება, რომელიც ამავე დროს კულტურულ დასაკუთრებას ექვემდებარება, რასაც თან ახლავს მეორე მხარის სემიოტიკური განიარაღება. ასე, მაგალითად, ბელინსკის სკოლა თავის თავს „ნატურალურ სკოლას“ უწოდებდა, არადა ეს სახელწოდება ბულგარინის ჟურნალ „სევერნაია პჩელა“-ს მიერ იქნა გამოგონილი და თავდაპირველად უარყოფითი გაგებით იხმარებოდა (შდრ. ა. ბლოკის „დიახ, სკვითები ვართ! დიახ – აზი-ელნი...“). ეს მოვლენა კარგადაა ცნობილი ეთნონიმების ისტორიაში.

კულტურული თვითგამორკვევის, ნომინაციისა და კომუნიკაციის სუბიექტის საზღვართა დადგენის ისტორიაც და მისი კონტრაგენტის – „სხვის“-ის – კონსტრუირების პროცესი კულტურის სემიოტიკის ერთ-ერთი უმთავრეს პრობლემათაგანია. მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შემდეგი მთავარი მომენტი: ცნობიერების დინამიზმი მის ნებისმიერ კულტურულ დონეზე მოითხოვს მეორე ცნობიერების მოცემულობას, რომელიც თვითუარყოფის გამო, აღარაა „სხვა“ იმდენადვე, რამდენადაც კულტურული სუბიექტი ახალი ტექსტების შექმნისას „სხვასთან“ შეტაკების პროცესში ჰკარგავს თავის მეობას.

პიროვნებათა თუ კულტურათა ურთიერთზემოქმედება და იმანენტური განვითარების გამიჯვნა მხოლოდ გონებითი ჭვრეტითაა შესაძლებელი. სინამდველში ისინი ერთიანი პროცესის დიალექტიკურად დაკავშირებული და ურთიერთგამსჭოლი მხარეებია.

ის შეხედულება, რომ ამა თუ იმ ტექსტის მიღება გარე კონტექსტიდან იმიტომ ხდება, რომ იგი უაღრესად თანამედროვედ იქნა მიჩნეული მოცემული ლიტერატურის იმანენტური განვითარების თვალსაზრით, ფართოდაა გავრცელებული და იგი ორგვარი მოსაზრებით საზრდოობს. ერთი მხრივ, პროვიდენციალისტური თუ ფინალისტური თვალსაზრისით დანახული ისტორიული პროცესი მკვლევარისათვის ცნობილი გარკვეული წერტილისაკენ მიმართულ მოვლენად მოიაზრება. თავად ის ვარაუდი, რომ მას შეიძლებოდა ჰქონოდა განვითარების სხვაგვარი და განუხორციელებელი შესაძლებლობები, იმთავითვეა გამორიცხული. ამგვარი თვალსაზრისის თანახმად, უნდა ჩავთვალოთ, რომ რუსულ ლიტერატურას მის ჩასახვისთანავე ერთადერთი ხვედრი ჰქონდა: XIX საუკუნეში ტოლსტოისთან და დოსტოევსკისთან უნდა მისულიყო. და მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ისტორიულად წინასწარ იყო განზრახული, რომ ბაირონს ან შილერს, რუსოს ან ვოლტერს ამ პროცესში კატალიზატორის როლი უნდა შეესრულებინათ. ნაკლებად თუ გაბედავს ვინმე ამგვარ მტკიცებას, თუმცა ზოგი ისე მსჯელობს, თითქოს ამგვარ წინამძღვარს ეფუძნებაო.

მეორე მხრივ, თავს იჩენს თითქოსდა გაცილებით უფრო ბუნებრივი ვარაუდი: მკვლევარი რეალურად მომხდარს ისე განიხილავს როგორც ერთადერთ შე-

საძლებელს; კანონზომიერება ფაქტიდან გამოჰყავს (უნდა გვახსოვდეს, რომ კულტურის ისტორიკოსი ყოველთვის უნიკალური ფაქტებით ოპერირებს, რომლებიც არ ექვემდებარებიან ალბათობისა და სტატისტიკის საფუძლზე დამუშავებას ან ისეთი მცირერიცხოვანი ფაქტებით, რომ ამგვარი დამუშავება ერთობ არასანდო იქნება). საბოლოოდ, როგორც კი გამოჰყოფს კულტურული კავშირის რომელიმე ფაქტს (მაგალითად, ბაირონის შემოქმედების გავლენას რუს რომანტიკოსებზე) მკვლევარი ამგვარი თვალსაზრისის შესაბამისად განიხილავს მთელ წინამორბედ ისტორიულ მასალას, რომელიც ისეთ ხასიათს იძენს, თითქოს ბაირონის გავლენა გარდაუვალი საფეხური იყო და რომ ყველაფერი ასეთ განვითარებას მოასწავებდა.

მასალაზე კვლევითი მეტაენის ზემოქმედება კულტურული პროცესის იმანენტური კანონზომიერების გამოვლინებად აღიქმება. არადა, აქ ყურადღება არ ექცევა ერთ ზოგად მოსაზრებას: თუ ყოველი კულტურული კონტაქტის აზრი ისაა, რომ ჯაჭვის ნაკლული რგოლის დანიშნულება შეასრულოს და კულტურის ევოლუცია დააჩქაროს წინასწარ განპირობებული მიმართულებით, ასეთ შემთხვევაში ისტორიულ განვითარებასთან ერთად კულტურული სტრუქტურის სიჭარბე პროგრესულად უნდა მატულობდეს (რაც სიტყვის უთქმელად ივარაუდება „ახალგაზრდა“, შინაგანი შესაძლებლობებით მდიდარ და „დაბერებულ“, შინაგანი შესაძლებლობებისაგან დაცლილ კულტურათა კონცეპციაში, რომელსაც მხოლოდ პოეტური ღირსება აქვს და არა მეცნიერული). ასეთ შემთხვევაში კულტურული კონტაქტის ყოველმა ფაქტმა ეს სიჭარბე სულ უფრო მეტად უნდა გაზარდოს, რის შედეგადაც კულტურული პროცესის ხასიათი მის ისტორიულ განვითარებასთან ერთად წინასწარ უნდა იყოს ცნობილი. მაგრამ ეს არ შეესაბამება არც რეალურ ფაქტებს და არც ზოგად წარმოდგენას კულტურის როგორც ინფორმაციული მექანიზმის ღირებულებაზე.

სინამდვილეში სრულიად საპირისპირო პროცესის მოწმენი ვართ: კულტურული განვითარების ყოველი ახალი ნაბიჯი კი არ ამცირებს, არამედ კიდევ უფრო ზრდის მის შინაგან გაურკვევლობას, იმ შესაძლებლობათა წყებას, რომლებიც კულტურის განვითარების პროცესში განუხორციელებლნი რჩებიან. ამ პროცესში კულტურული ფასეულობებით გაცვლის პროცესი დაახლოებით ასე გამოიყურება: დიდი შინაგანი განუსაზღვრელობის სისტემაში ხდება გარედან შეტანა ტექსტის, რომელიც იმის გამო, რომ ტექსტია და არა რაღაც შიშველი „აზრი“ (ჟოლკოვსკი-შჩეგლოვის გაგებით), იგი თვითონ ხასიათდება შინაგანი განუსაზღვრელობით, რამეთუ წარმოადგენს არა რომელიღაც ენის საგნობრივ ხორცშესხმას, არამედ პოლიგლოტურ წარმონაქმნას, რომელიც სხვადასხვა ენათა პოზიციიდან მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება, შინაგანად კონფლიქტური მოვლენაა და უნარი შესწევს ახალ კონტექსტში სრულიად ახალი აზრი შეიძინოს. ასეთი ვითარება მკვეთრად ზრდის მთელი სისტემის შინაგან გაურკვევლობას და მის შემდგომ ეტაპს ნახტომისებურ ხასიათს ანიჭებს.

მაგრამ, ვინაიდან კულტურა თვითმარგანიზებული სისტემაა, მეტასტრუქტურულ დონეზე იგი გამუდმებით აღწერს თავის თავს (კრიტიკოსთა, თეორეტიკოსთა, გემოვნების კანონმდებელთა და ზოგადად – კანონმდებელთა კალმით)

როგორც ერთნიშნად ცხადი და მკაცრად ორგანიზებული რამე. ერთი მხრივ, ხდება ამ მეტაალწერების დამკვიდრება ცოცხალ ისტორიულ პროცესში, დაახლოებით ისე, როგორც გრამატიკები მკვიდრდება ენის ისტორიაში და უკუზემოქმედებას ახდენენ მის განვითარებაზე.

მეორე მხრივ, ისინი კულტურის ისტორიკოსთა კუთვნილება ხდებიან, რომლებიც მზად არიან ასეთი მეტაალწერა (რომლის ფუნქციას იმის მკაცრად განლაგება შეადგენს, რამაც უღრმეს ფენებში ჭარბად გაურკვეველი ხასიათი შეიძინა) კულტურის როგორც ასეთის რეალურ ქსოვილთან გააიგივონ. კრიტიკოსი წერს იმაზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს ლიტერატურული პროცესი; ბუალო იმიტომ ადგენს ნორმებს, რომ პროცესი სხვაგვარად ვითარდება და ხოლო ნორმები ირღვევა (სხვა შემთხვევაში ამგვარი თხზულებების შექმნას აზრი არ ექნებოდა), ლიტერატურის ისტორიკოსი კი მიიჩნევს, რომ მის წინაშე რეალური პროცესის, ან უკიდურეს შემთხვევაში მისი ძირითადი იერსახის აღწერაა. XVIII საუკუნის რუსეთის ხელისუფლების მიერ ქრთამის არაერთგზის აკრძალვის ფაქტიდან იურიდიული ყოფის არც ერთი ისტორიკოსი არ დაასკვნის, რომ მექრთამეობას ბოლო მოეღო, პირიქით, დაასკვნის, რომ რეალურ ცხოვრებაში იგი ფართოდ იყო გავრცელებული. არადა, ლიტერატურის ისტორიკოსი თავს იმ დასკვნის უფლებას აძლევს, რომ მწერლები თეორეტიკოსთა შეგონებებს უფრო მკაცრად ასრულებდნენ, ვიდრე მოხელეები სისხლის სამართლის კანონებს. კულტურისათვის თავისი თავის მეტაალწერები ჩონჩხი თუ სადგარი კი არაა, არამედ ერთ-ერთი სტრუქტურულ პოლუსთაგანია, ხოლო ისტორიკოსისათვის ცხადი მოცემულობა კი არაა, არამედ შესასწავლი მასალაა, კულტურის ერთ-ერთი მექანიზმია, რომელიც მის სხვა მექანიზმებთან გამუდმებულ ორთაბრძოლაში იმყოფება.

თარგმნა **თამარ ნუცუბიძე**

Лотман Ю. М. К построению теории взаимодействия
литератур и культур. Семиосфера. СПб. 2000.

Yuri Lotman. Towards the Construction of a Theory of
Cultural and Literary Relations (Semiotic Aspect).